9. R. Taumog a. oth. The Ballistocardiogramm in coronary artery disease. JAMA, vol. 148. 6, 1952, 419.
10. L. Klinghofer, E. Newet, G. Uilagi, A. Gavid a. oth. Ballistocardiographie in der Differenzierung organischen und nervöser Herzleiden. Ltscher-Ges inn. Med., Bd. 12, 1957, 419.

ზ. ჩაჩუა

ჰემოპოეტინები და პერიფერიული სისხლის ცვლილებები კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 16.9.1965)

მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კლინიკურ ჰემატოლოგიაში, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ მრავალი გადაუჭრელი პრობლემაა. ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე ერთ-ერთ ძნელად გადასალახავ ბარიერს აღამიანის ორგანიზმში სისხლის წარმოშობის პროცესის, როგორც ფიზიოლოგიური აქტის, არასრულყოფილი ცოდნა წარმოადგენს.

ჰემოპოეტის არსის ამოხსნის საქმეში ამ უკანასკნელ წლებში მკვლევართა ყურადღება თანდათან უფრო მეტად ეთმობა მოძღვრებას ჰემოპოეტინების — ჰემოპოეტის ენდოგენური სტიმულატორების შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ 1906 წელს ჩაუყარეს საფუძველი ფრანგმა მკვლევარებმა კარნომ და დეფლანდრმა.

კარნოს და დეფლანდრის ბიოლოგიური ექსპერიმენტები მდგომარეობდა შემდეგში: მათ ჯანმრთელი კურდღლების კანქვეშ ან ვენაში შეჰყავდათ წინასწარ სისხლის გამოშვებით ანემიზირებული კურდღლების შრავტი 5—9 მ. ლ. რაოდენობით, რითაც აღწევდნენ კარგ ჰემოპოეტურ ეფექტს: სამი დღის განმავლობაში ინტაქტური კურდღლის პერიფერიულ სისხლში საგრძნობლად მატულობდა ერითროციტების რაოდენობა (საშუალოდ 2—3 მლნ-ით. 1 მმ³-ში), ამასთან ვითარდებოდა ჭეშმარიტი ერითროციტოზი, ვინაიდან პერიფერიულ სისხლში ერითროციტების რაოდენობის მომატებასთან ერთად აღინიშნებოდა აგრეთვე ძვლის ტვინის წითელი ღეროს პიპერლაზია. ჰემოპოეტურ ნივთიერებას, რომელიც გამოიშვებოდა ანემიზირებული ცხოველის ორგანიზმში, კარნომ და დეფლანდრმა ჰემოპოეტინები უწოდეს.

გარკვეული წარმატებების მიუხედავად (ნ. ფეოდოროვი, მ. კახეთელიძე, ა. იაროშევსკი, ს. შეხტერი, ი. უქანსკი, ქ. კანდელაკი, ა. ვოლჟსკაია, ჯეკობსონი, პლზაკი, ვან დეიკი, ხოჯსონი, ტოვა, გოლდვასერი, კურატოვსკაია და სხვები) დღესდღეობით მოძღვრება ჰემოპოეტინებზე წარმოადგენს მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ დარგს; კერძოდ, არადაამაკმაყოფილებლად შესწავლილი საკითხები ჰემოპოეტინების სტრუქტურული რაობის, ორგანიზმში მათი წარმოშობის ადგილის, მოქმედების მექანიზმის, პრაქტიკულ მედიცინაში მათი გამოყენების შესახებ და სხვა, ჩამოთვლილ საკითხთა ყოველმხრივი ექს-

პერიმენტული დამუშავება აუცილებელ პირობას წარმოადგენს კლინიკური ჰემატოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

სამედიცინო მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე კარგადაა ცნობილი ადამიანის კუჭის გარკვეული პათოგენური კავშირი სისხლის წარმოშობის პროცესთან. თუ ამ დებულებასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ ავტორთა ერთი ჯგუფის (ნ. ფედოროვი, მ. კახეთელიძე) გამოკვლევებს იმის შესახებ, რომ ჰემოპოეტინების გამომუშავების ადგილს ადამიანის ორგანიზმში წარმოადგენს კუჭი, მაშინ ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი ჰემოპოეტინების მნიშვნელობის შესახებ კუჭის სისხლმზადი ფუნქციისათვის. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს სისხლის ცვლილებებისა და ჰემოპოეტინების შესწავლა კუჭის სხვადასხვა დაავადებების დროს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ პერიფერიული სისხლის ცვლილებებისა და ჰემოპოეტინების რაოდენობრივი შემადგენლობის შესწავლა კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს.

ამ მიზნით დაკვირვებას ვაწარმოებდით კუჭის წყლულოვანი დაავადებით შეპყრობილ 22 ავადმყოფზე. შესწავლილ იქნა ამ ავადმყოფთა პერიფერიული სისხლის მაჩვენებლები (ჰემოგლობინი, ერითროციტები, ფერადობის მაჩვენებელი, ლეიკოციტები, ლეიკოციტური ფორმულა, ერითროციტების დალექვის რეაქცია, თრომბოციტები, რეტიკულოციტები), კუჭის წვენის მკავიანობა (საერთო სიმკავე და თავისუფალი მარილმკავე), კუჭის რენტგენოსკოპიის მონაცემები და სისხლსა და კუჭის წვენში ჰემოპოეტინების რაოდენობრივი შემადგენლობა. პარალელურად იგივე მონაცემები შესწავლილ იქნა საკონტროლო ჯგუფში, რომელიც შედგებოდა 18 დონორისაგან.

შესწავლილ ავადმყოფთა შორის მამაკაცი იყო 18, ქალი—4; ასაკის მიხედვით: 20 წლამდე (ჩათვლით)—4 ავადმყოფი, 21-დან 30 წლამდე—8, 31-დან 40 წლამდე—6, 41-დან 50 წლამდე—3, 50-დან 60 წლამდე—1; დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით: 1 წლამდე (ჩათვლით) ხანგრძლივობა აღენიშნებოდა 6 ავადმყოფს, 1-დან 2 წლამდე—8, 2-დან 3 წლამდე—4, 3-დან 5 წლამდე 3, 5-დან 10 წლამდე—1 ავადმყოფს.

შესწავლილ ავადმყოფთაგან 20-ს წყლულოვანი დაავადების დიაგნოზი დაუდასტურდა კუჭის სხვადასხვა ლოკალიზაციის (უმთავრესად მცირე სიმრუდესზე) ნიშის არსებობით. 2 შემთხვევაში დიაგნოზი დაისვა კლინიკურად.

ჰემოპოეტინების განსაზღვრა როგორც სისხლში, ისე კუჭის წვენში ხდებოდა მ. გ. კახეთელიძის მიერ მოწოდებული ქსოვილოვანი კულტურის მეთოდით, რომელიც იძლევა ჰემოპოეტინების რაოდენობრივი განსაზღვრის საშუალებას და რომელიც დღეს დღეობით ითვლება ჰემოპოეტინების განსაზღვრის სხვა მეთოდებს შორის ყველაზე უფრო სრულყოფილ მეთოდად.

მასალების დამუშავების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ კუჭის წყლულოვანი დაავადების შემთხვევაში კუჭის წვენი ჰემოპოეტინების რაოდენობა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებია, ე. ი. კუჭის ლორწოვანი გარსის პათოლოგიის დროს (როგორც ცნობილია, კუჭის წყლულოვანი დაავადება თითქმის ყო-

ველთვის ხასიათდება ქრონიკული გასტრიტის ნოვლენებით) კუჭის წვენი კუჭის ლორწოვანი გარსის ნორმალურ მდგომარეობასთან შედარებით (დონორებში) ჰემოპოეტინებს უფრო ნაკლები რაოდენობით შეიცავს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჰემოპოეტინების (ან მათი რომელიმე კომპონენტის) წარმოშობის ერთ-ერთ ადგილს ადამიანის ორგანიზმში წარმოადგენს კუჭის ლორწოვანი გარსი, რომელიც პათოლოგიის შემთხვევაში ამ პროდუქტებს გამოიმუშავებს უფრო ნაკლები რაოდენობით, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება არ გამოირიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ ჰემოპოეტინების (ან მათი რომელიმე კომპონენტის) წარმოშობის ადგილს, გარდა კუჭის ლორწოვანისა, წარმოადგენს აგრეთვე სხვა ორგანოებიც. ამ უკანასკნელი შეხედულების დამადასტურებელ არგუმენტად გამოდგება ის გარემოება, რომ კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს ჰემოპოეტინების რაოდენობა სისხლში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით არ კლებულობს; უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ პირობებში გარკვეული კომპენსაციის სახით სისხლში გადადის სხვა ორგანოებში წარმოშობილი ჰემოპოეტინების მომატებული რაოდენობა.

ცხრილი

გამოკვლეულ პირთა კონტიგენტი	შესთხვევითი რაოდენობა	ჰემოპოეტინი (ერთეულებში)	ერთობლივები	კუჭის წვენის მეთაინობა		ჰემოპოეტინები	
				საერთო სიმძეაე	თავისუფალი მარილმეცაე	სისხლში	კ/წვენიში
დონორები	18	83	4512000	51	29	+11	+15
კუჭის წყლულოვანი დაავადება	22	86	4678000	88	57	+11	+ 8

გარდა აღნიშნულისა, ცხრილიდან ჩანს, რომ ჰემოპოეტინების რაოდენობის გამოხატული შემცირება კუჭის წვენში არ იწვევს პერიფერიულ სისხლში ჰემოგლობინისა და ერითროციტების რაოდენობის შემცირებას; პირიქით, პერიფერიული სისხლის ეს კომპონენტები კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს რაოდენობრივად რამდენადმე მატულობს კიდევ, როგორც ჩანს, სისხლში ჰემოპოეტინების რაოდენობის საკონტროლო ჯგუფთან შედარებით თანაბარი დონე, ადამიანის ორგანიზმის სხვა სისხლმზად ფაქტორებთან ერთად, უზარუნველყოფს სისხლის ერითროციტული შემადგენლობის ნორმალურ პოეზს.

დასკვნები

1. კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს ჰემოპოეტინების რაოდენობა, ჯანმრთელ ორგანიზმთან შედარებით, კუჭის წვენში ნაკლებია, ხოლო სისხლში თანაბარია.

2. კუჭის წვენი ჰემოპოეტინების რაოდენობის გამოხატული შემცირება კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს არ ახდენს უარყოფით გავლენას პერიფერიული სისხლის ერთროციტული შემადგენლობის რაოდენობრივ მდგომარეობაზე.

ექიმთა დახელოვნების
 თბილისის სახელმწიფო
 ინსტიტუტი

(რედაქციას მიუვცია 16.9.1965)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

З. М. ЧАЧУА

ГЕМОПОЭТИНЫ И ИЗМЕНЕНИЯ ПЕРИФЕРИЧЕСКОЙ КРОВИ ПРИ ЯЗВЕННОЙ БОЛЕЗНИ ЖЕЛУДКА

Резюме

В последнее время среди исследователей-гематологов, как советских, так и зарубежных, все большую популярность приобретает учение о гемопоэтинах — эндогенных стимуляторах кроветворения. Но, наряду с несомненными научными успехами в этой области, целый ряд проблем, касающихся гемопоэтинов, все еще требует дальнейшей экспериментальной разработки. Среди них большой научный интерес представляет вопрос о роли желудка в регуляции гемопоэтинов.

С целью дальнейшего изучения этого вопроса нами проведены наблюдения над 22 больными язвенной болезнью желудка; были изучены показатели периферической крови, кислотность желудочного сока, данные рентгеноскопии желудка и количественное содержание гемопоэтинов в крови и желудочном соке (по методу тканевой культуры, предложенному М. Г. Кахетелидзе). Параллельно те же данные были изучены и в контрольной группе, состоящей из 12 доноров.

На основании анализа данных наблюдения мы пришли к выводу, что при язвенной болезни желудка количество гемопоэтинов уменьшается по отношению к группе здоровых в желудочном соке, в крови же оно остается на уровне контрольной группы. Кроме того, при сравнительной оценке количества гемопоэтинов в желудочном соке и количества гемоглобина и эритроцитов в периферической крови было выявлено, что уменьшение количества гемопоэтинов в желудочном соке не влияет отрицательно на количественные показатели эритроцитарного состава периферической крови.

დათარღიებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. П. М. Альперн, Г. П. Винокурова, Р. И. Родина. Гемопоэтическая активность сыворотки доноров. Тезисы докладов VII конференции патофизиологов Урала, 1964.

2. А. М. Волжская. О гемопоэтических свойствах желудочного сока при язвенной болезни и влияние на них ганглиоблокаторов. Тер. архив., т. XXXVI, № 6, 1964, 45—60.
3. А. М. Волжская. Сопоставление гемопоэтической активности желудочного сока и сыворотки при некоторых заболеваниях желудочно-кишечного тракта. Тезисы докладов VII конференции патофизиологов Урала, 1964.
4. М. Г. Кахетелидзе. Экспериментально-патологические исследования гемопоэтического фактора с помощью нового метода. Автореферат, М., 1952.
5. М. Г. Кахетелидзе, Н. А. Федоров. О гемопоэтическом факторе желудка. Пат. физиология и экспериментальная терапия, № 1, 1961, 14—23.
6. Р. А. Лившиц. О содержании антианемического фактора в желудочном содержимом при заболеваниях желудка и при анемиях. Л., 1949.
7. Д. В. Попель. Состояние поэза антианемического вещества при хронических гастритах и язвенной болезни (желудка и двенадцатиперстной кишки). Труды Военно-медицинской ордена Ленина академии им. С. М. Кирова, т. 75, 1957, стр. 110—123.
8. Н. А. Федоров, М. Г. Кахетелидзе, И. К. Корякина. О месте образования гемопоэтических веществ. Проблемы гематологии и переливания крови, № 3, 1960, 17—21.
9. Н. А. Федоров, М. Г. Кахетелидзе. Экспериментальное изучение гемопоэтического фактора желудка и крови. Патофизиология и экспериментальная медицина, 1960.
10. Н. А. Федоров, Е. Г. Кахетелидзе. О роли различных внутренних органов в образовании гемопоэтинов. Тезисы докладов VII конференции патофизиологов Урала, 1964.
11. А. Я. Ярошевский, С. Ю. Шехтер. Гемопоэтины (эритропоэтины) плазмы (обзор иностранной литературы). Проблемы гематологии и переливания крови, № 3, 1959, 41—48.
12. А. Я. Ярошевский. Эндогенные стимуляторы кроветворения (эритропоэтины). Изд. АН СССР, 1963.



ისტორია

ი. ტაბაღაძე

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან
 XVIII საუკუნის დასაწყისში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა 5.11.1965)

XVII საუკუნის ბოლოსა და განსაკუთრებით XVIII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა (კერძოდ, საფრანგეთი) აქტიურ ყურადღებას იჩენს საქართველოს მიმართ. საქართველოსა და ირანში მყოფი კათოლიკე მისიონერები სისტემატურად აწვდიან ცნობებს საქართველოს შესახებ თავიანთ ქვეყნებს. ეს კათოლიკე მისიონერები დაკავშირებული იყვნენ საქართველოს შეფეხვთან და ქვეყნის სხვა გამოჩენილ პირებთან.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საქართველოს კავშირის ზრდაზე მიუთითებს ის აქტიური მიწერ-მოწერა, რომელსაც აღვილი ჰქონდა XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების იმდროინდელ ხელმძღვანელებს შორის.

ცნობილია, მაგალითად, ვანტანგ VI-ის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა 1707 წელს საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში მარკიზ დე ფერიოლს. ვანტანგის ამ წერილში მოხსენიებულია ფრანგი ქალი — მარი პეტი. ჩვენ მოკლედ შევიჩრდებით ამ პიროვნებაზე.

საფრანგეთის მეფემ ლუი XIV-მ 1704 წელს თავის საგანგებო დესპანად ირანში დანიშნა ჟან-ბატისტ ფაბრი. ფაბრი მისი საელჩოს სხვა წევრებთან ერთად (მდივანი პიერ ანდრე დიუბოე, მხატვარი ჟან ყირო, ამ უკანასკნელის ძმა, ინჟინერი ყირო და სხვ.) 1705 წლის თებერვალში გაემგზავრა მარსელიდან ისფაჰანში.

ჟ.-ბ. ფაბრთან ერთად ირანში გაემგზავრა „ლამაზი და განათლებული“ ქალი მარი პეტი დე მულენი (1665—1720), რომელიც იმ პერიოდში პარიზში მარსელინის ჟურნალ ფლოზდა „საეჭვო სახლს“. მარი პეტი პარიზიდან მარსელში გაჰყვა ფაბრს, ხოლო მარსელში მასთან ერთად „მამაკაცის ტანისამოსში გადაცმული ჩაჯა გემში, რომელმაც ის ჩაიყვანა ალეპოში (იხ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, საქმე „სპარსეთი“, ტ. 2, ფ. 177). მარი პეტის ფაბრი უნდა შეეცილებინა ისფაჰანამდე, სადაც იგი დარჩებოდა ერთ თვეს და მიიღებდა ფაბრისაგან 8 ათას ფრანკს. ამის შესახებ ის წინდაწინ შეუთანხმდა ფაბრს და ხელში ჰქონდა მისი წერილობითი ვალდებულება.

მრავალი თავგადასავლის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მარი პეტის თავშეუკავებელ ქცევით (ალეპოს დაშმასთან მისი ურთიერთობა და სხვ.), ისინი ლუნძულ სამოსიდან გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში, „რათა იქიდან ინკოგნიტოდ გადასულიყვნენ სპარსეთში“ (იქვე, ფ. 96 ბ). კონსტანტინოპოლში ფაბრს ელოდებოდა მარკიზ დე ფერიოლი, რომელიც თავის მთავრობას პირდებოდა: „თუ ბატონი ფაბრი გამოჩნდება აქ ან სმირნაში და, თუ ის დაკმაყოფილდება ხუთ-ან ექვსკაციანი ამალით, მე ვცისრულობ გავატარო მისი ამალა ელჩთან ერთად სპარსეთში, ხოლო მისი ამალის სხვა წევრებს შეუძლიათ მიჰყვენ მათ“ (იქ-

ვე, საქმე „თურქეთი“. ტ. 43, ფ. 145). 1706 წლის 26 თებერვალს მარკიზ დე ფერიოლი აცნობებდა ვერსალში, რომ თურქეთის „დიდმა ვეზირმა უკვე გასცა განკარგულება თურქეთის ტერიტორიაზე ფაბრის ვატარების შესახებ...“

უ.-ბ. ფაბრი მისი ამაღლის ერთი ნაწილით კონსტანტინოპოლიდან არზრუმში ჩავიდა, ხოლო 1706 წლის ივნისში იგი უკვე ერევანშია. აქ ფაბრი „გარდაიცვალა ღამით, დიდი ნადირობის შემდეგ, როგორც ფიქრობენ, ფაშის მიერ მოწამლული“. ფაბრის მოწამლვაში ბრალი მარი პეტისაც ედებოდა, თუმცა საფრანგეთის მინისტრის და სახელმწიფო მდივნის გრაფ დე პონშარტრენისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში მარი პეტი უარყოფდა როგორც მის მონაწილეობას ფაბრის მოწამლვაში, ისე საერთოდ ფაბრის მოწამლვას. ის წერდა: „მე ვაცხადებ, რომ ის სრულებითაც არ იყო მოწამლული“ (იქვე, საქმე „სპარსეთი“, ტ. 2, ფ. 120 ბ). ამასთანავე მარი პეტი უარყოფდა მის ინტიმურ კავშირს ერევანის ხანთან. „როგორ შეიძლებოდა მე ცყოფილიყავი ერევანის ხანის საყვარელი, რომელსაც მე ვიცნობდი მხოლოდ საზოგადოებაში და ყველა ფრანგის თანხლებით?!“ — სწერდა ის გრაფ დე პონშარტრენს.

უ.-ბ. ფაბრი კი მისი მოწინააღმდეგეების წერილებსა და ანგარიშებში დახასიათებულია, როგორც გარყვნილი, ათეისტი, რომელიც ეწეოდა თავაშეებულ ცხოვრებას.

ფაბრის გარდაცვალების შემდეგ მარი პეტიმ გადაწყვიტა მისი დიპლომატიური მისიის გაგრძელება. მან თავი გამოაცხადა საფრანგეთის ელჩად და ირანის დედოფალთან წარგზავნილად, ხოლო ერევანის ხანი „მზად იყო ეცნო მარი პეტი საელჩოს მეთაურად“ — ატყობინებდა 1706 წლის 15 დეკემბერს პარიზს მარკიზ დე ფერიოლი.

მარი პეტიმ ერევანის ხანისაგან მიიღო საჭირო თანხები და დააჩქარა ირანის შაჰისათვის განკუთვნილი საჩუქრების ერევანში ჩატანა. ამ საჩუქრებთან ერთად ფაბრის საელჩოს სხვა 9 წევრი კუნძულ სამოსზე დარჩა, როცა ფაბრი ვაემგზავრა კონსტანტინოპოლში. მათი ერთად მგზავრობა არც იყო გათვალისწინებული, რათა არ მიექციათ თურქეთის ხელისუფლების ყურადღება. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ვერ გადაურჩნენ თურქეთის ტერიტორიაზე თავდასხმებს, ქურდობასა და პატიმრობას. არზრუმში იქაური ფაშის განკარგულებით ისინი დაპატიმრებული იყვნენ 45 დღის განმავლობაში. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, შეინარჩუნეს რა შაჰის საჩუქრები, ისინი ჩავიდნენ ერევანში.

მარი პეტის თავაშეებულობას არავითარი საზღვარი არ ჰქონდა. მას შეეახება მოუხნდა გარდაცვლილი ფაბრის შვილ იუსტინიანესთან, რომელმაც კინაღამ მოკლა მარი პეტი. იუსტინიანე ერევანის ხანმა დააპატიმრა. სწორედ ამ დროს ჩამოვიდნენ შემოსენებული ფრანგები საჩუქრებით. მათ ძალით გაათავისუფლეს დაპატიმრებული იუსტინიანე. ერევანის ხანმა ეს შეურაცხყოფად მიიღო და ვაგზავნა შეიარაღებული პირები, რათა უკანვე წამოეყვანათ ფაბრის შვილი. მაგრამ ფრანგები არ დაემორჩილნენ ხანის ბრძანებას. ატყდა სროლა, რომლის დროს დაიღუპა ორი ირანელი და ორი სომეხი. საქმეში ჩაერია ფრანგი მისიონერი იეზუიტი წმ. მამა მონიე. მაგრამ იგი კინაღამ მოკლეს ხანის შეიარა-

ღებულმა პირებმა. საქმეს მხოლოდ მარი პეტიმ უწველა, რომელიც ფეხებში ჩაუფარდა ერევნის ხანს და განუცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს თვითონ მოკვდეს. თუ ხანი მის თხოვნას არ შეასრულებს და არ შეწყვეტს ამ ბრძოლას, მარი პეტის თხოვნამ შეანგლა ხანის რისხვა: „მამა მონიეს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, ყველა ფრანგი ვაათავისუფლეს, ხოლო ფრანგების საქმეები ერევნის სასამართლოს გადასცეს“ (იქვე, საქმე „სპარსეთი“, ტ. 2, ფ. 121 ბ).

მარი პეტის შესახებ ცნობამ ისტაჰანამდე მიაღწია. ამ ამბებით დაინტერესებულმა ირანის შაჰმა ჰუსეინმა ვასცა განკარგულება, რათა მარი პეტი ერევნიდან ისტაჰანაში გაეგზავნათ. მაგრამ, როცა ფაბრის გარდაცვალების შესახებ ცნობა კონსტანტინოპოლში მივიდა, ელჩმა მარკიზ დე ფერიოლმა მის ადგილზე გაგზავნა თავისი საელჩოს თანამშრომელი ლუი მიშელი. იგი ერევანში ჩავიდა ისე, რომ საფრანგეთის მეფის ნდობის სიგელი არ ჰქონია. ამიტომ იგი მოქმედებდა მხოლოდ თავისი გაბედულობით. ლუი მიშელმა მოითხოვა ვალაყათ მისთვის ფაბრის საბუთები და ნივთები, მაგრამ მას მარი პეტის სახით საქმე ჰქონდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელმაც არაფრად ჩაავადო ლუი მიშელის მოთხოვნა.

მარი პეტისა და ლუი მიშელს შორის გაიმართა ბრძოლა იმისათვის, თუ რომელი უფრო მალე ჩავიდოდა ისტაჰანაში და წარსდგებოდა შაჰის კარზე. მაგრამ აქაც მარი პეტიმ აჯობა ლუი მიშელს. მარი პეტიმ გამოიყენა ყველა საშუალება, რათა პირველი ჩასულიყო ისტაჰანაში. მან ისარგებლა ერევნისა და თავრიზის ხანების მისდამი კარგი განწყობილებით. თავრიზში, ღამით, მარი პეტის თავზე დაადგნენ ლუი მიშელის მომხრეები, მაგრამ მარი პეტის ერთერთი დამცველისაგან ეს შეიტყო თავრიზის ხანმა, რომელმაც „მაშინვე გაგზავნა 200 კაცი თავისი კაიტასა და ქალანთარის მეთაურობით, რათა ხელი შეეშალათ ჩემთვის შეტრაცხყოფა მოეყენებინათო“ — წერდა მარი პეტი (იქვე, ფ. 121).

მარი პეტი ლუი მიშელზე უფრო ადრე ჩავიდა ისტაჰანაში, სადაც კარგად იქნა მიღებული შაჰის კარზე და მიაღწია იმას, რომ დედოფლის აუდიენცია მიეღო. ისტაჰანაში ყოფნის დროს მარი პეტის ხარჯები შაჰის კარმა აიღო თავის თავზე. გარდა ამისა, შაჰ ჰუსეინს მარი პეტისათვის უჩუქებია 600 ეკიუ.

ისტაჰანაში ჩავიდა ლუი მიშელიც, მაგრამ, საფრანგეთის მეფის ნდობის სიგელს მოკლებულმა, ვერ მიაღწია შაჰის კარზე აუდიენციას. მაშინ ლუი მიშელი კვლავ დაბრუნდა ერევანში და მრავალი სიძნელის შემდეგ, 1708 წლის მაისში, მან მიიღო ოფიციალური საბუთი გაეგრძელებინა ე. ბ. ფაბრის დიპლომატიური მისია ირანში, რის შემდეგ ისევ ჩავიდა ისტაჰანაში.

ისტაჰანაში ლუი მიშელი შეეცადა პირველ რიგში თავიდან მოეცილებინა მარი პეტი, რომელიც მას ბევრ უსიამოვნებას აყენებდა ახლაც. ლუი მიშელი ყველა ხერხს მიმართავდა მარი პეტის თავიდან მოსაცილებლად: დაპირება, საჩუქრები, სარეკომენდაციო წერილები საქართველოს მეფე ვახტანგისადმი, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის მარკიზ დე ფერიოლისადმი და სხვ.

ირანიდან დაბრუნებაზე მარი პეტიმ იფიქრა მხოლოდ მაშინ, როცა საკმაოდ ისარგებლა იქ თავისი პოპულარობით. საჯარო აუდიენციის დროს ირანის პრემიერ-მინისტრის საშუალებით მარი პეტისათვის შეუთავაზებიათ ირანში დარჩენა, მაგრამ მას უარი უთქვამს ამზე. იგი უკვე მზად იყო საფრანგეთში

დასაბრუნებლად. ამისათვის მან აირჩია გზა საქართველოს გავლით. ასეთი თხოვნით მან მიმართა ირანის პრემიერ-მინისტრს: „მე მას ვთხოვე ვავეში და აღმოჩინა ჩემთვის ის წყალობა, რომ მე წავსულიყავი საქართველოს გავლით, რაზედაც მე ნება დამრთეს შესაბამისი ბრძანებულებებით მთავრებისადმი, რაც მათ შეასრულეს ჩეროვანად“ (იქვე, ფ. 122 ბ). მარი პეტის სარეკომენდაციო წერილი მიჰქონდა მეფე ვახტანგ VI-თან.

საქართველოსკენ მიმავალ მარი პეტის ორი ფრანგი ახლდა თან — კასტელინი და ბორეგარი. ისინი თბილისში ჩავიდნენ 1707 წლის აგვისტოს. თბილისში მარი პეტი მიიღო ვახტანგ VI-მ, თბილისში ყოფნის დროს მარი პეტის ქცევის შესახებ არსებობს ორი აზრი: ზოგიერთი ცნობით იგი თითქმის იქცეოდა უმწიკლოდ, რასაც ადასტურებს 1707 წლის 31 აგვისტოს მისთვის გაცემული საბუთი, რომელსაც ხელს აწერენ კაპუჩინელი მამა ჟოზეფი და ვახტანგ VI-ის თარჯიმანი ნერსესი. სხვა ცნობებით მარი პეტემ თავისი თავაშუვებული საქციელით გააოცა თბილისი. ბოლოს, მან ვახტანგ VI-საგან მიიღო სარეკომენდაციო წერილი საფრანგეთის ელჩ მარკიზ დე ფერიოლისადმი და ვეგმეზავრა თბილისიდან 1707 წლის სექტემბრის ბოლოს.

მარი პეტი ჩავიდა ახალციხეში, სადაც ახალციხის ფაშის მეუღლემ, რომელიც დანიტერესებულა მარი პეტის თავგადასავლით, ესკორტი მისცა მას ტრაპიზონამდე. მარი პეტის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ ის ტრაპიზონში დაუბატიმრებიათ და 7 თვეს მჯდარა საპყრობილეში.

1708 წლის 1 აპრილს მარი პეტი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც რამდენიმე ხანს დარჩა. 1707 წლის 24 სექტემბერს მარკიზ დე ფერიოლი პარიზს ატყობინებდა: „მე არ მინდოდა წარმომედგინა ამ ანგარიშში კვების ხარჯები ხუთი თვის განმავლობაში საქართველოს მეფის დესპანისა, რომელმაც აქამდე მოაცილა ქალბატონი პეტი და ასევე კვების ხარჯები თვითონ ქალბატონისა, მისი მსახურებისა და ყველა იმ ადამიანებისა, რომლებიც ასრულებდნენ ბატონი მიშელის დავალებას და რომლებიც იმყოფებოდნენ სასახლეში ათ თვეზე მეტ ხანს...“ (იქვე, საქმე „თურქეთი“, ტ. 46, ფ. 192—193).

ვინ არის ეს „საქართველოს მეფის დესპანი“? ეს უნდა იყოს ვახტანგ VI-ის მიერ მარკიზ დე ფერიოლისადმი გაგზავნილ წერილში მოხსენიებული ჩვენი-ერთგული და მისიანლო ყმა ნერსესა“.

მარი პეტი მხოლოდ 1709 წლის თებერვალში ჩავიდა მარსელში, სადაც ის მაშინვე დააბატიმრეს საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის ბრძანებით და ჩამოართვეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, ხოლო მისი საქმე სასამართლოს გადასცეს. 1710 წლის თებერვალში, ვალერებისა და ვაჭრობის ინტენდანტმა მარსელში პიერ დ'ანრუმ მოითხოვა მარი პეტის გასამართლება და დასჯა. მას ბრალად ედებოდა, რომ იგი უნებართვოდ გაჰყვა ე.-ბ. ფაბრს პარიზიდან მარსელში, იქ მამაკაცის ტანისამოსში გადაცმული ჩაქდა გეში მასთან ერთად და ჩავიდა ალუბოში, „სადაც, ასევე ყველა სხვა ადგილებში, სადაც მან გაიარა, მისმა ქცევამ, დიდად შეარცხვინა სარწმუნოება და ერი“ (იქვე, საქმე „სპარსეთი“, ტ. 2, ფ. 177); რომ მან ფაბრის გარდაცვალების შემდეგ მიიტაცა შაჰისათვის განკუთვნილი საჩუქრების ნაწილი, რის გამოც ლუი მიწელი იძულებულ-

ლი გახდა ეყიდა და შეევესო იგი ახალი ნივთებით; რომ მარი პეტიმ ამოაცალა წერილები ფაბრს „მასთან მისი თავისუფალი ქცევის დროს“ და სხვ. მაგრამ მარი პეტე თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

მარსელში მარი პეტემ წარადგინა ვახტანგ VI-ის სარეკომენდაციო წერილი, თითქოს დაწერილი თვითონ ვახტანგის მიერ ლუი XIV-ისადმი. ეს წერილი გახდა მსჯელობის საგანი, მაგრამ მარი პეტის მოწინააღმდეგეებმა იგი არ ჩასთვალეს ნამდვილად ვახტანგ მეფის მიერ დაწერილად და მარი პეტის საზიზღარი ფალსიფიკატორი უწოდეს. საქმე ის იყო, რომ მარი პეტემ ვერ შეძლო ვახტანგის წერილის ორიგინალის წარდგენა, არამედ წარადგინა უბრალო პირი და ისიც უცნაური შინაარსისა.

ვახტანგის ეს წერილი იმ სახით (ფრანგულ ენაზე), როგორცაც ის ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, პირველად გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ კომენტარებით. თუმცა ამ წერილის სათაურია „საქართველოს მეფის მიერ საფრანგეთის მეფისადმი მიწერილი წერილის თარგმანი“, მაგრამ მისი ქართული ტექსტი არც აკად. მ. ბროსეს უნახავს და საერთოდ, დღემდე არაა ცნობილი. ალბათ ის არც არსებობს.

საქმე ის არის, რომ მარი პეტემ საკმაოდ გახმაურებული თავგადასავლის შემდეგ, სარეკომენდაციო წერილი გამოართვა ვახტანგ VI-ს, რათა საფრანგეთის ხელისუფლების წინაშე შეემსუბუქებინა თავისი მდგომარეობა, მაგრამ ეს წერილი იყო ელჩის მარკიზ დე ფერიოლის სახელზე. ეტყობა მარი პეტემ საკმარისად არ მიაჩნია ეს წერილი და გადაწყვიტა, ამ წერილის საფუძველზე თვითონ შეედგინა მეორე წერილი ვახტანგის სახელით მეფე ლუი XIV-ისადმი და მას დაარქვა „საქართველოს მეფის მიერ საფრანგეთის მეფისადმი მიწერილი წერილის თარგმანი“. ალბათ ასე შეიქმნა მარი პეტის მიერ მარსელში წარდგენილი ვახტანგის წერილი.

ამრიგად, ეს წერილი ვახტანგ VI-ს არ ეკუთვნის. ეს ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსემ შენიშნა. იგი ამის შესახებ შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „ან საქართველოს მეფემ საფრანგეთის მეფეს მისწერა წერილი, რომელიც დაიკარგა, ხოლო ამ შემთხვევაში ის შინაარსის მიხედვით იქნებოდა მსგავსი წერილისა, რომელიც გაეგზავნა მარკიზ დე ფერიოლს, ან უფრო სწორად, მარი პეტემ, რათა მოეხდინა დიდი შთაბეჭდილება, გადაწყვიტა ეთქვა, რომ წერილი, რომლის მატარებელიც თვითონ იყო, მიწერილი იყო ვახტანგის მიერ ლუი XIV-ისადმი“.

აკად. მ. ბროსეს ეს უკანასკნელი აზრი უფრო სწორია და მისაღები. მარი პეტემ თვითონ შეადგინა ეს წერილი, რის გამოც დაირღვა ვახტანგის სტილი და გაჩნდა რამდენიმე გაუგებრობა. სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ბოლო ვახტანგ მეფეს თავისი ქვეყნისათვის ეწოდებინა ზარბაზოსული ქვეყანა? ან კიდევ: ვახტანგ VI-ს მარი პეტის შესახებ ცალკე წერილი რომ მიეწერა ლუი XIV-სათვის, მაშინ ამის შესახებ რაიმე ნათქვამი იქნებოდა მარკიზ დე ფერიოლისადმი მიწერილ წერილში; ან ამ წერილში ვახტანგი რატომ მისწერდა საფრანგეთის ელჩს: „და ერთი წიგნი ამდღებულს ფრანგისის (sic) ხელმწიფესაც აახელით, რომე, ჩუენის გულისათვინ ნურას უწყრომებენ [მარი პეტის]“.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ჩვენ ვიპოვეთ ამ წერილის მეორე ვარიანტი.

ლომდნენ ბოლო მოვლით ქრისტიანობისათვის და დაემკვიდრებინათ მაჰმადიანობა. ასეთ ვითარებაში კათოლიკე მისიონერები აწყდებოდნენ მრავალ სიძნელეს. ამასთანავე, როგორც ინგლისელი ისტორიკოსი დოქტორი დ. ლენგი შენიშნავს, თბილისში მათ მოღვაწეობას ხელს უშლიდნენ სომხური ეკლესიის მსახურნი. „სომეხი ვაჭრები, — წერს პროფ. ვ. ვაბაშვილი, — კათოლიკე მისიონერებს თვლიდნენ, სავსებით სამართლიანად, დასავლეთ ევროპის კათოლიკური სახელმწიფოების სავაჭრო აგენტებად და საშიშ მტოქეებად“.

1708 წლის სექტემბრის ირან-საფრანგეთის ხელშეკრულებით ირანის შაჰი ვალდებული იქნა კისრულობდა ნორმალური პირობები შეექმნა ფრანგი მისიონერებისათვის. მაგრამ ეს ვალდებულება ყველგან და ყოველთვის როდი სრულდებოდა. ამიტომ შაჰი, საფრანგეთის მეფე და სხვ. ირანის შაჰის გვერდის ავლით თავიანთ წერილებში სთხოვდნენ საქართველოს მეფეებს აღმოეჩინათ მფარველობა კათოლიკე მისიონერებისათვის. „საფრანგეთის მთავრობამ, — აღნიშნავს დოქტ. დ. ლენგი, — შაჰის უუნარობის თუ მისიონერების დაცვის სურვილის უქონლობის გამო გადაწყვიტა უშუალო ურთიერთობა დაემყარებინა ვახტანგთან. ეს ურთიერთობა გრძელდებოდა მოუხედავად იმისა, რომ ვახტანგი დაცვის ქვეშ იყო, ირანში“.

ქართველი მეფეები ვახტანგ V, გიორგი XI, ქაიხოსრო, ვახტანგ VI მფარველობას უწყევდნენ კათოლიკე მისიონერებს და საშუალებას აძლევდნენ მათ გაეშალათ თავიანთი მოღვაწეობა საქართველოში. ამიტომ კათოლიკე მისიონერების საქმიანობას ჩვენში წარმატება ჰქონდა. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ“. ყველა ის, ვინც სამშობლოს დაცვაზე, მის აღდგენაზე, უცხო დამყრობლებისაგან მის განთავისუფლებაზე ფიქრობდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“. ქართველთა ეს ჭგუფი, განაგრძობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, „მზად იყო შაჰის უხენაესობა აღეარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაეცრცელებინა, ოღონდ კი საფრანგეთის ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღო ერთ-ერთმა მათგანს წინააღმდეგ ბრძოლაში“.

1712 წლის 23 აპრილს ვახტანგ VI ისფაჰანში გაემგზავრა. მას თან ახლდა ს.ს. ორბელიანი. საფრანგეთის იმდროინდელ ხელმძღვანელებს ამ პერიოდშიც არ შეუწყვეტიათ კავშირი ვახტანგთან. ამას ცხადყოფს ფრანგი მისიონერის მამა პიერ დ'ისუდენის წერილები, გაგზავნილი კონსტანტინოპოლსა და პარიზში. 1712 წლის 28 აგვისტოს პიერ დ'ისუდენის წერილსა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში გრაფ დეზალორს: „მე აღარ ვიყავი უკვე თავრიზში. როდესაც წერილები საქართველოს მეფისა და ერევნის ხანისათვის იქ მივიღა. ჩემმა მეგობარმა მამა ბერნარ დე ბურჟმა იზრუნა მათ მოტანაზე“.

ვახტანგმა გადახედა ირანში შექმნილ მდგომარეობას, გაითვალისწინა სეფიანთა დინასტიის შინაგანი კრიზისი, საფრანგეთიდან მიღებული წერილების შინაარსი და გადაწყვიტა უფრო მკვიდრო კავშირი დაემყარებინა საფრანგეთთან. საჭირო იყო საპასუხო წერილების მიწერა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სათვის და სანდო პიროვნების გაგზავნა. „ბატონი აბატი რიშარი იქნება აღჭურვილი პასუხებით, რომლებსაც მეფე (ვახტანგი. — ტ.) მისწერს მის უდიდებულესობას

გრა ფედერალორს, მაგრამ, მალე გადაწყდა, რომ ამ წერილებს ვახტანგის ელჩი და თქვენს აღმატებულობას“ — სწერდა პიერ დისუდენი საფრანგეთის ელჩს — სულხან-საბა ორბელიანი წაიღებდა, რომელიც უან რიშართან ერთად კიდევ გაემგზავრა საფრანგეთში 1713 წლის აგვისტოში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

(რედაქციას მიუვლიდა 5.11.1965)

ИСТОРИЯ

И. М. ТАБАГУА

ИЗ ИСТОРИИ ФРАНКО-ГРУЗИНСКИХ ОТНОШЕНИЙ В НАЧАЛЕ XVIII в.

Резюме

В данной статье на основании некоторых документов (перевод письма грузинского царя Вахтанга VI к королю Франции Луи XIV, письмо Вахтанга VI послу Франции в Константинополе маркизу де Ферриолью, некоторые письма Мари Пети министру и государственному секретарю Франции графу де Поншартрену) рассмотрены франко-грузинские отношения в начале XVIII в.

В статье автор касается также дипломатической миссии Ж.-Б. Фабра в Персии, пребывания Мари Пети в Ереване, Исфагане и Тбилиси, ее ареста в Марселе и предъявления „рекомендательного письма Вахтанга VI“, связей Вахтанга VI с представителями западных стран (в частности, Франции), что подготовило почву для вьезда во Францию с дипломатической миссией Сулхан-Саба Орбелиани.

დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. „Turquie“, t. 43 f^{os} 144—145; t. 44, f^{os} 31, 104; t. 45, f^{os} 123—124, 221; t. 46, f^{os} 192—193; t. 47, f^{os} 124. „Perse“, t. 2, f^{os} 96—97, 120—123, 156—157, 177—177 v^o, 260 v^o—261; „Perse“, t. 3, f^{os} 19—20 v^o, 82—84, 43.
2. M. Brosset. Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France. „Nouveau Journal Asiatique“, t. IX, pp 193—221; მისივე, II^e Appendice. I. Sceau du roi Wakhtang V, t. X, pp. 177—179.
3. M. Tamarati [Tamarachvili]. L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours. Rome, 1910.
4. D. M. Lang. Georgian Relations with France during the reign of Wakhtang VI (1711—24). „Journal of the Royal Asiatic Society“. Parts 3 a and 4, pp. 114—126, October, 1950; მისივე, The Last Years of the Georgian Monarchy 1658—1832 New York, 1957, pp 104—120.
5. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან (იხ. ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 149—184); მისივე, საქართველო XVIII საუკუნეში, ივემ, გვ. 185—243.
6. ვ. დონდუა. ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან 1712—1745 წწ. „ძიგობნილევა“, ტ. III, 1933, გვ. 23—66.
7. ვ. გაბაშვილი. სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. წიგნში: „სულხან-საბა ორბელიანი 1658—1958“. საუბიბლო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 61—76.
8. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბილისი, 1922.
9. И. М. Табагуа. Материалы о Грузии в архивах Франции. „Маице“, № 3, 1964.
10. ი. ტაბაღუა. სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში, „მაცნე“, № 3, 5, 1965.

მთ. რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი რ. დვალი

Гл. редактор — академик Академии наук Грузинской ССР
Р. Р. Двали

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.1.1966; შუკვ. № 1682; ანაწილების ზომა 7×11 ;
ქალაქის ზომა 70×108 ; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 18,0,
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 16,0; უე 02212; ტირაჟი 1400

Подписано к печати 28.1.1966; зак. № 1682; размер набора 7×11 ; размер
бумаги 70×108 ; количество уч.-изд. листов 18,0; количество печатных
листов 16,0; УЭ 02212; тираж 1400

გამომცემლობა «მეცნიერების» სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5



მათემატიკა — МАТЕМАТИКА — MATHEMATICS

Г. А. Ломадзе. К арифметическому смыслу некоторых коэффициентов	257
*გ. ლომადე. ზოგიერთი კოეფიციენტის არითმეტიკული აზრისათვის	263
С. Б. Топурия. Граничные свойства гармонических функций внутри единичной сферы	265
*ს. თოფურია. ერთფელადიუსიან სფეროს შიგნით ჰარმონიული ფუნქციების სასაზღვრო თვისებები	271
И. Е. Жак, А. А. Шнейдер. О равномерной сходимости одного класса двойных тригонометрических рядов	273
*ი. ჯაკი, ა. შნეიდერი. ერთი კლასის ორმაგ ტრიგონომეტრიულ მწკრივთა თანაბარი კრებადობის შესახებ	276
Д. О. Баладзе. Гомотопические и когомтопические группы над парой дискретных или компактных групп коэффициентов	277
*დ. ბალადე. კოეფიციენტების დისკრეტული ან კომპაქტური ჯგუფების წევრების მიმართ აღებული ჰომოტოპიისა და კოჰომოტოპიის ჯგუფების შესახებ	282

კიბერნეტიკა — КИБЕРНЕТИКА — CYBERNETICS

Д. Г. Цкипуришвили. Статистико-вероятностная модель динамики популяции общественной полезной	285
*დ. ცკიფურიშვილი. საზოგადოებრივი მემინდერობის პოპულაციის დინამიკის სტატისტიკურ-ალბათური მოდელი	291

ფიზიკა — ФИЗИКА — PHYSICS

М. М. Мирианашвили (член-корреспондент АН ГССР). Релятивистское движение частицы в скалярном поле	293
*მ. შიროიანაშვილი (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი). ნაწილაკის რელიტივისტური მოძრაობა სკალარულ ველში	300
Г. А. Бегиашвили, О. И. Чавчанидзе. К вопросу о времени жизни возбужденного состояния в газах	301
*გ. ბეგიაშვილი, თ. ჭავჭავაძე. გაზებში აღზნებული მდგომარეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხისათვის	307
Т. Л. Тавдгиридзе, Н. Л. Цинцадзе. Прохождение быстрой заряженной частицы через слаботурбулентную магнитоактивную плазму	309
*ტ. თავდგირიძე, ნ. ცინცაძე. ჩქარი დამუხტული ნაწილაკის გაელა სუსტად ტურბულენტურ მაგნიტოაქტიურ პლანმაში	313

ქიმია — ХИМИЯ — CHEMISTRY

ქრ. არეშიძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ვ. თავართქილაძე. 2,4-დიმეთილპენტანოლ-2-ისა და 3-მეთილპენტანოლ-3-ის კონტაქტურ-კატალიზური გარდაქმნები	315
*X. И. Арешидзе (член-корреспондент АН ГССР), Е. К. Таварткиладзе. Контактно-каталитические превращения 2,4-диметилпентанола-2 и 3-метилпентанола-3	321

* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური გეუთენის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.
 * Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.



П. В. Гогоршвили, Э. А. Квезерели. О гидразиновых соединениях германия	323
*პ. გოგორიშვილი, ე. კვეზერელი. გერმანიუმის ჰიდრაზინიანი ნაერთების შესახებ	328
Р. М. Лагидзе, А. И. Двалишвили, Р. Н. Ахвледиანი. Синтез потенциальных противоопухолевых соединений на основе некоторых арна-алканолов	329
*რ. ლაგიდე, ა. დვალისვილი, რ. ახვლედიანი. პოტენციური ანტიკანცეროგენული ნივთიერებების სინთეზი ზოგიერთი არილალკანოლების ბაზაზე	334
Г. В. Цинцадзе, В. В. Скопенко, А. А. Швелашвили. Исследование методом порошка некоторых селеноцианатных комплексов цинка и кадмия	337
*გ. ცინცაძე, ვ. სკოპენკო, ა. შველასვილი. თეთისა და კადმიუმის ზოგიერთი კომპლექსური სელენოციანატების გამოკვლევა ფხვნილის მეთოდით	341

ბიოქიმია—БИОХИМИЯ—BIOCHEMISTRY

М. М. Заалишвили, Н. А. Гаччиладзе. К вопросу о выделении препаратов чистых ядер и миофибрилл из скелетных мышц	343
*მ. ზაალიშვილი, ნ. გაჩჩილაძე. ჩონჩხის კუნთებიდან სუფთა ბირთვებისა და მიოფიბრილების პრეპარატების განოცდვის საკითხისათვის	349

ფარმაკოქიმია—ФАРМАКОХИМИЯ—PHARMACEUTICAL CHEMISTRY

В. Ю. Вачнадзе. К вопросу изучения механизма сорбции полифенолов из водных растворов кофеина полимеризационными анионообменными смолами	351
*ვ. ვაჩნაძე. პოლიმერიზაციული იონცვლითი ფისებით კოფეინის წყლიანი ხსნარებისაგან პოლიფენოლების სორბციის მექანიზმის შესწავლის საკითხისათვის	356

გეოგრაფია—ГЕОГРАФИЯ—GEOGRAPHY

Օ. Մանուկյան. მდინარე ლიახვის აუზის რელიეფის ტიპები	357
*Օ. Մ. Մայսրաձե. Типы рельефа бассейна р. Лиавхи	363

გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

Д. Ю. Папаян. Олигоценовые отложения окрестностей с. Манглиси	365
*დ. პაპაეა. მანგლისის მიდამოების ოლიგოცენური ნალექები	368

პალეობიოლოგია—ПАЛЕОБИОЛОГИЯ—PALAEOBIOLOGY

Н. К. Ратиани, Б. Л. Соловьев. О возрасте ископаемой флоры Гумисты	369
*ნ. რატიანი, ბ. სოლოვიოვი. გუმისტის ნამარზი ფლორის ასაკის შესახებ	373

ბაჟინკა—ТЕХНИКА—ENGINEERING GENERAL

Օ. Գ. Соломония, Н. Ш. Болташвили. Выборы месторасположения и объемов ирригационных водохранилищ методами математического программирования	375
*ო. სოლომონია, ნ. ბოლთასვილი. ირიგაციული წყალსაცავების ადგილმდებარეობისა და მოცულობის განსაზღვრა მათემატიკური პროგრამირების მეთოდებით	381
Г. И. Мамасахлисов. Об условиях работы станции в период увеличения прибытия вагонов	383
*გ. მამასახლისოვი. მოსული ვაგონების რიცხვის გადიდებისას სადგურის მუშაობის პირობები	390



И. Г. Шекриладзе. О механизме пузырькового парообразования 397
 *ი. შეყრილაძე. ბუშტოვანი ორთქლწარმოქმნის მექანიზმის შესახებ 397

მეტალურგია—МЕТАЛЛУРГИЯ—METALLURGY

Ф. Н. Тавадзе (академик АН ГССР), В. А. Пирцхалайшвили, Н. Л. Хуцишвили. Влияния азота на структуру и свойства аустенитных хромомарганцевых и хромомарганцевоникелевых сталей 399
 *ფ. თავაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ვ. ფირცხალაიშვილი, ნ. ხუციშვილი. აზოტის გავლენა ქრომმანგანუმისა და ქრომმანგანუმნიკელიანი ფოლადების სტრუქტურასა და თვისებებზე 405

ავტომატიკა და ტელემექანიკა—АВТОМАТИКА И ТЕЛЕМЕХАНИКА—AUTOMATICS AND TELEMCHANICS

М. Г. Гогоберидзе. Перевод чисел из системы остаточных классов в позиционную систему счисления 407
 *მ. ლოღბერიძე. რიცხვების გადაყვანა ნაშთთა კლასის სისტემიდან ათვლის პოზიციურ სისტემაში 414

წიაღაგვომცოდნეობა—ПОЧВОВЕДЕНИЕ—SOIL SCIENCE

М. Н. Сабашвили (академик АН ГССР), М. А. Джикаева. О почвах типа смолниц в Грузии 413
 *მ. საბაშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), მ. ჯიკაევა. სმოლნიცის ტიპის ნიადაგები საქართველოში 420

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

რ. გაგნიძე. გეარ *Cicerbita Wallr.*-ს კავკასიის წარმოადგენელთა ბოტანიკურ-გეოგრაფიული მიწობილვა 423
 *Р. И. Гагнидзе. Ботанико-географический обзор кавказских представителей 429

ფიტოპათოლოგია—ФИТОПАТОЛОГИЯ—PHYTOPATHOLOGY

Г. С. Каличава, Л. Н. Логинова, Л. Н. Салдан. Влияние некоторых дыхательных ингибиторов на репродукцию вируса табачной мозаики 431
 *გ. ყალიჩავა, ლ. ლოგინოვა, ლ. სალდან. ზოგიერთი სუნთქვითი ინჰიბიტორის მოქმედება თამბაქოს ვირუსული მოზაიკის რეპროდუქციაზე 434

პარაზიტოლოგია—ПАЗАЗИТОЛОГИЯ—PARASITOLOGY

Л. И. Коява. Новый вид моногенетического сосальщика 435
 *ლ. კოიავა. მონოგენეზური მწოფელას ახალი სახეობა 437

ანატომია—АНАТОМИЯ—ANATOMY

Г. И. Маисая. О гистохимических особенностях фосфатаз в плаценте и плацентарной площадке матки в разные сроки беременности у белых крыс 439
 *გ. მაისაია. ფოსფატაზების ჰისტოქიმიური თავისებურებანი მაკობის სხვადასხვა პერიოდში მცალი თეთრი ვირთაგვების პლაცენტასა და საშვილოსნოს პლაცენტურ არეში 442

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

В. М. Мосидзе, Н. Б. Шерешева. Взаимодействие между полушариями головного мозга при выработке условного рефлекса на изолированное раздражение одного уха 445



*გ. მოსიძე, ნ. შერეშვევა. თავის ტვინის ჰემისფეროების ურთიერთმოქმედება ცუტრის ცალმხრივ გაღიზიანებაზე პირობითი რეფლექსის გამოშვებისას

ქართული
სსრკ-ის
აქადემიის
საბუნების
მეცნიერებათა
სამეცნიერო
ცენტრის
გამომცემლობა

მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა—ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА—
EXPERIMENTAL MEDICINE

კ. ერისთავი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), თ. ტყეშელაშვილი, ა. აბესაძე. საკვები უელატინისაგან სისხლშემცველი ხსნარის მოზადების საკითხისათვის	451
*К. Д. Эристави (академик АН ГССР), Т. В. Ткешелашвили, А. И. Абесадзе. К вопросу применения пищевой желатины для приготовления кровезаменителя	455
В. О. Иосава. Полисахариды в ткани экспериментальных опухолей слюнных желез	457
*გ. იოსავა. პოლისაქარიდული კომპლექსები სანერწყვე ჯირკვლების ექსპერიმენტული სიმსივნეების ქსოვილში	461
П. А. Курашвили. Значение изменений белково-липидного обмена при экспериментальном рахите	463
*პ. ყურაშვილი. ცილოვან-ლიპოიდური ცვლის ცვლილებების მნიშვნელობა ექსპერიმენტული რაქიტის დროს	469
Д. С. Маркарян, Р. Н. Манджгаладзе, В. И. Вашакидзе. К вопросу о мутагенных свойствах марганцевых соединений и некоторых пестицидов	471
*დ. მარკარიანი, რ. მანჯგალაძე, ვ. ვაშაკიძე. მარგანცის შენაერთებისა და ზოგიერთი პესტიციდის მუტაგენური თვისებების საკითხისათვის	474

კლინიკური მედიცინა—КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА—
CLINICAL MEDICINE

ო. რჩეულიშვილი. ინფექციური ჰეპატიტის შორეული შედეგები ბავშვებში	477
*О. И. Рчеулишвили. Отдаленные результаты инфекционного гепатита (болезни Боткина) среди детей	483
შ. გუგუშაშვილი, გ. მთლადინაშვილი. პორტალური სისხლის ნაკადის სისწრაფე კუჭ-ნაწლავის მწვავე და ქრონიკულ დაზიანებათა დროს	485
*Ш. И. Гугешашвили, Г. М. Молодинашвили. Скорость портального кровотока при острых и хронических поражениях желудочно-кишечного тракта	491
Д. С. Какишвили. Баллистокardiографическое исследование лиц престарелого возраста	493
*დ. კაკიაშვილი. მოხუცთა ბალისტოკარდიოგრაფიული გამოკვლევა	495
ხ. ჩაჩუა. ჰემოპოეტინები და პერიფერიული სისხლის ცვლილებები კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს	497
*З. М. Чачуа. Гемопoэтины и изменения периферической крови при язвенной болезни желудка	500

ისტორია—ИСТОРИЯ—HISTORY

ი. ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის დასაწყისში	503
*И. М. Табагуа. Из истории франко-грузинских отношений в начале XVIII в.	510

ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях Академии наук Грузинской ССР» публикуются статьи научных работников Академии наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение основных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит редакционная коллегия, избираемая общим собранием Академии наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно отдельными выпусками приблизительно в объеме 16 печатных листов каждый. Выпуски каждого квартала (три выпуска) составляют один том.

4. Статьи должны быть представлены на двух языках: на грузинском и русском. На одном из них, по желанию автора,—полный текст, а на другом языке—краткое изложение основного текста.

5. Объем статьи, включая иллюстрации, не должен превышать 20 000 типографских знаков (8 страниц журнала). Разделение статьи на отдельные части для опубликования в разных выпусках «Сообщений» не допускается.

6. Статьи действительных членов и членов-корреспондентов Академии наук Грузинской ССР сдаются непосредственно в редакцию «Сообщений» для опубликования, а статьи других авторов публикуются только по представлению действительных членов или членов-корреспондентов Академии. Статьи, поступившие без представления, направляются редакцией одному из действительных членов или членов-корреспондентов Академии на рассмотрение, с тем чтобы в случае положительной оценки статья была представлена для опубликования.

7. Статьи (а также соответствующие иллюстрации и чертежи) должны быть представлены автором в одном экземпляре, в совершенно готовом для печатания виде. Формулы должны быть четко вписаны в текст от руки. Текстовые части на иллюстрациях должны быть выполнены на обоих языках. Никакие исправления и добавления после принятия к печати не допускаются.

8. Данные о цитированной литературе должны быть по возможности полными: необходимо указать полное заглавие статьи, название журнала, в котором опубликована статья, номер серии, тома, выпуска, год издания; если имеется ссылка на книгу, то необходимо указать полное наименование книги, место и год издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

10. В конце текста статьи автор на соответствующем языке должен указать название и местонахождение того научного учреждения, где выполнена работа.

Статья датируется днем поступления ее в редакцию.

11. Автору представляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без виза автора.

12. Автор получает бесплатно 10 оттисков своей статьи.

АДРЕС РЕДАКЦИИ: ТБИЛИСИ, ул. ДЗЕРЖИНСКОГО, 8
Телефон 9-03-52

Условия подписки: на 1 год—12 руб., на 6 месяцев—6 руб.



დაგეგმვის
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის მიერ 28.3.1963.

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზრის“

დ ე ბ უ ლ ე მ ბ ა

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზრებში“ იბეჭდება აკადემიის მეცნიერი მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.
2. „მოაზრებში“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.
3. „მოაზრებში“ გამოდის თვეში ერთხელ, ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 16 ბეჭდური თაბახი. ყოველი კვარტალის ნაკვეთები (სამი ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.
4. „მოაზრებში“ დასაბეჭდად წერილები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. ერთ-ერთ მათგანზე, ავტორის სურვილისამებრ, —სრული ძირითადი ტექსტი, ხოლო მეორეზე —ძირითადი ტექსტის შემოკლებული გადმოცემა.
5. წერილის მოცულობა (ორივე ტექსტისა), ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 20.000 სასტამბო ნიშნს (ჟურნალის 8 გვერდს); არ შეიძლება წერილის დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბეჭდად „მოაზრების“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორების წერილები იბეჭდება აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარდგინებით. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოაზრების“ რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზღვრულად, რათა მან, დადებითად შეფასების შემთხვევაში, წარმოადგინოს იგი დასაბეჭდად.
7. წერილები (ავტორზე სათანადო ილუსტრაციები და ნახაზები) ავტორმა უნდა წარმოადგინოს თითო ცალად, დასაბეჭდად საესვებით მოწოდებული. ფორმულები ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტში მკაფიოდ. ილუსტრაციებზე ტექსტობრივი წარწერები ორივე ენაზე უნდა იყოს შესრულებული. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში შესწორებებისა და დამატებების შეტანა აღარ შეიძლება.
8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები შეძლებისდაგვარად სრული უნდა იყოს: საჭიროა აღინიშნოს წერილის სრული სათაური, სახელწოდება ჟურნალისა, რომელშიც დაბეჭდილია წიგნი, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულოა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის ადგილისა და წელის მითითება.
9. დამოწმებული ლიტერატურის სია წერილს ერთვის ბოლოში. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტში თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იქნეს შესაბამისი ნომერი სიის მიხედვით.
10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა შესაბამის ენაზე უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.
11. ავტორს ეძლევა გვერდებზე შეკრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად არა უმეტეს ორი დღისა). თუ კორექტურა დადგენილი ვადისათვის არ იქნა წარმოდგენილი, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიხის გარეშე.
12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 10. ამონაბეჭდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძეგლისკის ქ. 8

ტელეფონი 9-03-52

ხელმოწერის პირობები: 1 წლით—12 მან., 6 თვით—6 მან.